



საქართველოს კულტურის სტრატეგია : ადამიანები, პროცესები, პრიორიტეტები

2015 წლის 6 მარტი, მცხეთა

სესია - ხელოვნება

(საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნება, ლიტერატურა და გამომცემლობა, კინო)

მოდერატორი - ზვიად მჭედლიშვილი, ქართულ კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

რეპორტიორი - შორენა ციცავი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომელი

მონაწილეები :

ბექა ბადურაშვილი - თიანეთის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა

სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ვახტანგ ქოჩლაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ლალი შავერდაშვილი - თიანეთის კულტურის ცენტრის დირექტორი

ჯენი ლემონჯავა - მცხეთის ხელოვნების სკოლა, საქმისმწარმოებელი

თინათინ მელიქიშვილი - მცხეთის ხელოვნების სკოლა, საქმისმწარმოებელი
გულნარა კობეშავიძე - მცხეთის ხელოვნების სკოლა, მენეჯერის თანამშემწე
შორენა არჯევანიძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და სასწავლო დანსებულებების უფროსის თანამშემწე
თამარ მურჯიკიანი - დუშეთის კულტურის სახლის დირექტორი
გიორგი არაბული - დუშეთის თეატრის რეჟისორი
ნუსა-დოდო მამაცაშვილი - მცხეთის დ. გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლის მენეჯერი
ლამარა მასურაშვილი - დუშეთის სახელოვნებო სკოლის დირექტორი
მაია სავაძე - დუშეთის კულტურის საგანმანათლებლო ცენტრის გენერალური დირექტორი
მანანა ხაჩიძე - გაერთიანების გენერალური დირექტორი
ლელია პაპიაშვილი - ქსნის სასოფლო კლუბის სამხატვრო ხელმძღვანელი
შალვა მელქაძე - მხატვარი
თენგიზ ხუციშვილი - მცხეთის მერიის კულტურის წამყვანი სპეციალისტი
ანგელინა როსტიაშვილი - ახალგორის სამუსიკო სკოლის დირექტორი
მანანა მგალობლიშვილი - საგურამოს მუსიკალური სკოლის მენეჯერი
თამარ წერეთელი - თვითმმართველი თემის მცხეთის კულტურის ადმინისტრაციის მენეჯერი
მიხეილ გელიაშვილი - საქართველო - თურქეთის მეგობრობის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დანსებულებების გაერთიანება გენერალური დირექტორის მოადგილე

ორსაათიანი დისკუსიის მანძილზე, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა მცხეთის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახალგორის მუნიციპალიტეტებიდან ისაუბრეს იმ კონკრეტულ დაბრკოლებებსა და პრობლემებზე, რომლებიც მათ ყოველდღიურად ექმნებათ კინოთეატრში (დაბალი დაფინანსება და საავტორო უფლებების საკითხები საპროექციო ფილმებისათვის თიანეთში), თეატრში (პროფესიონალი მსახიობების ნაკლებობა დუშეთის თეატრში), კულტურის სახლში (კულტურისა და ხელოვნებისადმი საზოგადოების დაბალი ინტერესი და სახელოვნებო სფეროებში პროფესიული განათლების მიღებისაკენ სწრაფვის ნაკლებობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების საკითხები - დამბალ ხაჭოსა და ძობანის დამზადების მაგალითი, ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშების მოძიების მაგალითები), სამუსიკო თუ სახელოვნებო სკოლაში, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციაში (კულტურისა და სპორტის სფეროების გაყოფის საჭიროება ადმინისტრაციულ დონეზე, კადრების გადამზადების საჭიროება) მუშაობისას.

დისკუსიის შედეგად გამოვლენილი პრობლემები მათი გამომწვევი მიზეზებითა და შედეგებით :

პრობლემები :

- კულტურის სფეროს რეგულირების მოძველებული ნორმატიული აქტები
- მოძველებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა
- ცნობიერების დაბალი დონე კულტურის სფეროს პოტენციის შესახებ

მიზეზები :

- სუსტი კომუნიკაცია ცენტრალურ და ადგილობრივ, რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებას, კულტურის სფეროს სექტორებს შორის
- პროფესიული და ზოგადი განათლების დაბალი ხარისხი
- ორგანიზაციების ფუნქციური ანალიზის მოძველებული მეთოდისა და როლების გადანაწილების საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურებსა და კულტურის ორგანიზაციებს შორის

პრობლემების გამოვლინებები :

- რეგიონში კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა
- კულტურის სფეროს პროფესიონალების წახალისების მეთოდის სისუსტე
- დაფინანსების სისტემის სისუსტე / ალტერნატიული ფინანსური ფონდების არარსებობა
- შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა

<p>რეგიონში კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა</p>	<p>კულტურის სფეროს პროფესიონალების სტიმულირების მეთოდის სისუსტე</p>	<p>დაფინანსების სისტემის სისუსტე ალტერნატიული ფინანსური ფონდების არარსებობა.</p>	<p>შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა</p>
<p>სფეროს რეგულირების მოქველებული ნორმატიული აქტები</p>		<p>მოქველებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა</p>	
<p>ცნობიერების დაბალი დონე რეგიონში კულტურის სფეროს პოტენციური შესაძლებლობების შესახებ</p>			
<p>სუსტი კომუნიკაცია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების/ რეგიონალურ და მუნიციპალურ/ თაყადა კულტურის სფეროში სექტორებს შორის.</p>	<p>პროფესიული/ ზოგადი განათლების დაბალი ხარისხი</p>	<p>ორგანიზაციების ფუნქციური ანალიზის მოქველებული მეთოდიკა ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურები/ კულტურის ორგანიზაციები.</p>	

პრობლემები

მიზეზები

